აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

02 სექტემბერი 2010 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, თამარ ხოზრევანიძე და ასლან ჩავლეიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი მალხაზ კალანდაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

(მომხ. ა. მიქელაძე)

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ როგორც კომისიისათვის ცნობილია უსკო-ს სამ წევრს ქალბატონ ქეთევან ჯიქიას და ბატონებს გია გარსევანიშვილსა და ასლან ჩავლეიშვილს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, შეუწყდათ უსკო-ს წევრობის უფლებამოსილების ვადა ახალარჩეული უსკო-ს წევრის არჩევის შესახებ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან (2010 წლი 25 აგვისტო). მანვე აღნიშნა, რომ მ/წ 25 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატიდან უსკო-ში შემოვიდა №9-2-23-593 წერილი რომლითაც ეცნობა არჩეული უსკო-ს წევრების ვინაობის შესახებ. ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, უსკო-ს თავმჯომარის მოადგილის/მდივნის ვაკანსიის წარმოქმის შემდეგ, კომისიამ პირველივე სხდომაზე წევრობის უფლებამოსილების ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით კომისიის წევრთაგან უნდა აირჩიოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი და კომისიის წევრებს შესთავაზა უსკო-ს მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის დასახელება.

აზრი გამოთქვეს: გია გარსევანიშვილიმა და ასლან ჩავლეიშვილმა.

გია გარსევანიშვილმა და ასლან ჩავლეიშვილმა უსკო-ს მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე წარადგინეს ქეთევან ჯიქიას კანდიდატურა და აღნიშნეს, რომ ქეთევან ჯიქიას აქვს საარჩევნო სფეროში საკმაოდ დიდი გამოცდილება.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძე კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უსკო-ს მდივნის ასარჩევად ქეთევან ჯიქიას კანდიდატურა.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

1. მიქელაძე არჩილ - მომხრე

2. ჯიქია ქეთევან - კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა
3. გარსევანისვილი გია - მომხრე
4. ხოზრევანიძე თამარ - მომხრე
5. ჩავლეიშვილი ასლან – მომხრე

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

უმაღლსი საარჩევნო კომისიის მდივნად არჩეული იქნა ქეთევან ჯიქია.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არჩეული იქნეს ქეთევან ჯიქია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დასახელების უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარეს და უსკო-ს თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე წარადგინა გია გარსევანიშვილის კანდიდატურა, ისაუბრა მის საარჩევნო გამოცდილებებზე, პიროვნულ თვისებებზე, პროფესიონალურობაზე და ა.შ

აზრი გამოთქვეს: ქეთევან ჯიქიამ და ასლან ჩავლეიშვილმა.

ასლან ჩავლეიშვილმა და ქეთევან ჯიქიამ აღნიშნეს, რომ გია გარსევანიშვილს ნამდვილად ააქვს საარჩევნო სფეროში საკმაოდ დიდი გამოცდილება.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძე კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უსკო-ს თავმჯდომარის მოადგილის ასარჩევად გია გარსევანიშვილის კანდიდატურა.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

1. მიქელაძე არჩილ - მომხრე
2. ჯიქია ქეთევან - მომხრე
3. გარსევანისვილი გია - კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა
4. ხოზრევანიძე თამარ - მომხრე
5. ჩავლეიშვილი ასლან – მომხრე

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა გია გარსევანიშვილი.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნეს გია გარსევანიშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია